



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

გუგული



გუგული

გუგული, (*Cuculus canorus*), ფრინველი გუგულისნაირთა რიგისა. ზომით მტრედზე პატარაა, შორიდან ჰგავს მიმინოს. გავრცელებულია ევროპაში, აზიასა და აფრიკაში. საქართველოში რეგისტრირებულია როგორც მოზაფხულე გადამფრენი ფრინველი. ცხოვრობს ფოთლოვანსა და შერეულ ტყეებში ანთროპომორფულ ლანდშაფტში (ბალები, ველმინდვრები და მისთ.). ტიპური ბუდობრივი პარაზიტია. გაზაფხულ-ზაფხულის განმავლობაში ბელურასნაირთა

ბუდეებში დებს 12-25 კვერცხს. დადებისას იტაცებს და ჭამს მასპინძლის 1-2 კვერცხს. გუგულის მართვე გამოჩეკისთანავე რეფლექსურად აგდებს ბუდიდან მასპინძლის ბარტყებსა და კვერცხებს. გ. იკვებება მწერებითა და მათი მატლებით, რითაც სარგებლობა მოაქვს. გ-ს უწოდებენ გუგულისებრთა ოჯახის (*Cuculidae*) სხვა წარმომადგენლებსაც (სულ მსოფლიოში 39 გვარის 129 სახეობაა). „ბუდობრივი პარაზიტობი" დამახასიათებელია მხოლოდ 80 სახეობისათვის.

რ. ჟორდანი
